№ 62 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. ხუთშაბათი, 18 მარტი 192[illegible] წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 ჯ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ხუთშაბათს, 18 მარტს სარაჯიშვილის ბენეფისი

გუგენოტები

არასკევს, 19 მარტს გასტროლი ნ. ვ. კოშიცის 1. ჰაიაცები და 2. კონცერტი. შაბათს, 20 მარტს, ოპერა მუშებისათვის „ევგენი ონეგინი“. კვირას, 21 მარტს ორკესტრის ბენეფისი გ. ნ. სტაროსტინის მონაწილეობით „რომეო და ჯულიეტა“. 334

დუშეთის მაზრის ერობა

საჭიროებს ორ რაიონის აგრონომს და სამ ინსტრუქტორს:

მელვინე-მევენახეობისას, მეხილ-მებაღე-მებოსტნეობისა და მესამე მესაქონლე-მერძეობისას. აგრონომებს ჯამაგირი 5500 და საგზაო 1500 მან. ინსტრუქტორებს 4000 მან. და საგზაო 1000 მან. თხოვნები უნდა გაიგზავნოს ქ. დუშეთში, დუშეთის ერობის გამგეობაში. საჭიროა დაწვრილებით აღწერა მათი მოქმედების და განათლების სამეურნეო დარგში მიღების შესახებ. 322 3-3

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

სახალხო გვარდიის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.

1. მოემატოს სახალხო გვარდიის ყველა მოსამსახურეს ჯამაგირი ამა წლის თებერვლის 1-დან თანახმად დართული ნუსხისა.

2. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ამა წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-დე რვა მილიონი ორი ათას რვაასი (8.002.800) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 9.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

1 ცხრილი

სახალხო გვარდიის შტაბებსა და დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.

1. პირნი, რომელნიც ულუფას იღებენ.

№ რიგზე	თვიური ჯამაგირი 1920 წ. თებერ. 1-დე	თვიური ჯამაგირი 1920 წ. თებერ. 1-დან	თვიური მომატება თვითეულს	მოსამსახურეთა რიცხვი	საერთო თვიური მომატება
1	1050	1680	630	103	64890
2	1100	1760	660	209	13200
3	1250	1940	690	76	52440
4	1400	2100	700	20	14000
5	1550	2325	775	40	31000
6	1700	2550	850	87	73950
7	1800	2610	810	25	20250
8	2000	2900	900	1	900
9	2100	3045	945	80	75600
10	2500	3500	1000	45	45000
11	2800	3640	840	98	82320
12	3100	4030	930	3	2790
13	3500	4550	1050	2	2100
14	4000	5200	1200	2	2400
15	4050	5850	1350	21	28350
16	5000	6500	1500	1	1500
				624	510690

2. პირნი, რომელნიც ულუფას და ჩაცმა-დახურვას.

17	1250	1815	565	2	1130
18	1400	2030	630	6	3780
19	1550	2250	700	23	19600
20	1700	2380	680	17	11560
21	1800	2520	720	18	12960
22	2100	2835	735	11	8085
23	2500	3375	875	1	875
			სულ.	83	57990

3. პირნი, რომელნიც იღებენ სრულს ულუფასა და ჩაცმა-დახურვას.

24	550	855	305	5	1525
25	900	1350	450	211	94950
26	1050	1525	475	27	12825
27	1250	1750	500	38	19000
28	1400	1960	560	12	6720
29	1550	2095	545	24	13080
30	1800	2430	630	4	2520
			სულ.	321	150620

1920 წ. მარტის 9-ს.

დამფუძნებელი კრების თავჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

2 ცხრილი

№№ რიგზე	თვიური ჯამაგირი 1920 წ. თებერ. 1-დე	თვიური ჯამაგირი 1920 წ. თებერ. 1-დან	თვიური მომატება თვითეულს	მოსამსახურეთა რიცხვი	საერთო თვიური მომატება
1	4500	6100	1600	2	3200
2	4050	5400	1350	1	1350
3	3750	5000	1250	33	41250
4	3300	4400	1100	35	38500
5	2700	3700	1000	94	94000
6	2250	3200	950	97	92150
7	2000	3000	1000	114	114000
8	1650	2470	825	1	825
9	1500	2250	750	8	6000
10	1400	2100	700	7	4900
11	1250	1875	625	95	59375
12	1000	1500	500	122	61000
13	900	1200	300	217	65100
14	800	1100	300	180	54000
15	750	1000	250	2583	645750
			სულ.	3589	1281400

შენიშვნა შტაბებსა და დაწესებულებებში მოსამსახურეთა ერთი ნაწილი გამორიცხულია პირველი კატეგორიიდან და მოთავსებულია მეორე კატეგორიაში, რადგანაც მათი სამსახურის ხასიათი ისეთივეა, როგორიც ოფიცრებისა და სახალხო გვარდიელების ჯარის ნაწილებში, სახელდობრ:

1) იარაღის ტეხნიკოსები, ფერშლები, მეკუჭნავეები, დარაჯები, მზარეულები და მეზარეულები ყველა საოლქო და სარაიონო შტაბში.

2) ყველა ექიმი და საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე.

3) საოპერაციო ნაწილის გამგე.

4) ჰომწყობი განყოფილების გამგე, მისი თანაშემწე, განყოფილების ინსპექტორი და ოფიცრები მინდობილობისათვის.

5) მთავარი შტაბის კომენდანტი და მისი თანაშემწე.

6) საიარაღო განყოფილების იარაღის ტეხნიკოსი.

7) კავშირის განყოფილების გამგე და მისი თანაშემწე.

8) საბეითლო განყოფილების ყველა მოსამსახურენი, გარდა გამგისა, საქმის მწარმოებლისა და გადამწერისა.

1920 წ. მარტის 9.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია**

არა ოფიციალური განყოფილება

დამფუძნებელ კრების საკანონმდებლო მოქმედების 1919 1920 წლის ანგარიში

I. დამფუძნებელ კრების მოქმედება დაიწყო 1919 წლის მარტის 12, მაშასადამე ერთი წელიწადი მისი მუშაობისა 1920 წლის მარტის 12 შესრულდა.

ამ ხნის განმავლობაში დამფუძნებელ კრების სხდომები შეწყვეტილი იყო საზაფხულო კანიკულებისათვის 1919 წლის აგვისტოს 3-დან სექტემბრის 19-დე და საახლწლო-საშობაო დღესასწაულების გამო 1920 წლის იანვრის 1-დან 23-დე.

ხოლო ამ უკანასკნელი დასვენების დროს გამართულ იქნა სასწრაფო-სადღესასწაულო სხდომა იანვრის 14, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

II. წლის განმავლობაში დანიშნული იყო სულ 97 სხდომა. ამათ შორის მორიგი 77 და სასწრაფო 20.

ამ საერთო რიცხვიდან არ შესდგა 3 მორიგი სხდომა უქვორუმობის გამო.

III. წლის განმავლობაში დამფუძნებელ კრების მიერ განსახილველად შემოვიდა სხვა და სხვა ხასიათის საკანონმდებლო აქტი. სულ 415

ინიციატივის შემდეგი განაწილებით:

1) მთავრობისა 12 აქტი, 2) შინაგან საქმეთა მინისტრისა 77, 3) გარეშე საქმეთა მინისტრისა 5, 4) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა 54, 5) მიწათ-მოქმედების მინისტრისა 33, 6) გზათა მინისტრისა 49, 7) იუსტიციის მინისტრისა 19, 8) განათლების მინისტრისა 36, 9) შრომის მინისტრისა 13, 10) სამხედრო მინისტრისა 28 და 11) სახელმწიფო კონტროლისა 2. სულ 328.

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმისა და კომისიებისა:

1) პრეზიდიუმისა 16, 2) საკონსტიტუციო კომისიისა 3, 3) იურიდიულ კომისიისა 14, 4) საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისა 12, 5) სამხედრო კომისიისა 16, 6) ადგილობრივი მართველობისა და თვითმართველობის კომისიისა 7, 7) განათლების კომისიისა 5, 8) ხელოვნების კომისიისა 2, 9) სარეგლამენტო კომისიისა 1, 10) საბიბლიოთეკო კომისიისა 1, 11) აგრარულ კომისიისა. 2 სულ 79.

ფრაქციებისა:

1) სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა 6, 2) ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა 1, 3) ეროვნული ფრაქციისა 1. სულ 8.

სულ 415.

IV. ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

1) კანონ-პროექტის სახით იყო 114, 2) დეკრეტის სახით 280, 3) დადგენილების სახით 11, 4) დებულების სახით 7, 5) რატიფიკაციის სახით 3. სულ 415.

კლასიფიკაცია

5. საკანონმდებლო აქტებისა მათი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით.

დარგი: დამფუძნებელი კრების შინაგანი გაწესრიგებისა 3 აქტი, უზენაესი გამგეობისა 4, საკონსტიტუციო 10, უმაღლეს დაწესებულებათა დაარსებისა 5, საერთაშორისო უფლებისა 3, საადმინისტრაციო უფლებისა 10, სამოქალაქო უფლებისა 12, სისხლის სამართლის უფლებისა 7, აგრარული ხასიათისა 7, საემისიო უფლებისა 5, საბიუჯეტო უფლებისა 4, სახელმწიფო ფისკი 31, ბიუჯეტი და მისი ნაწილები 6, სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაცია და მათი შენანახი ხარჯი 144, სახელმწიფოს სამეურნეო და სხვა და სხვა ხარჯი 56, კულტურულ-საგამანათლებელო ხასიათის ხარჯები 22, სესხის გაცემა 12, სახელმწიფო დახმარება მკვიდრთათვის 5, საპენსიო და სალიკვიდაციო ხასიათისა 4, შრომისა და მუშათა საკითხისა 8, სათვითმმართველობო 4, ვაჭრობა-მრეწველობისა 10, სამხედრო 43. სულ 415 აქტი.

6., ეს საკანონმდებლო აქტები წინასწარი განხილვისათვის დამფუძნებელი კრების შემდეგ კომისიათ გადაეცა*)

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას 284, იურიდიულ კომისიას 54, გზათა კომისიას 34, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიას 21, განათლების კომისიას 34, შრომის კომისიას 9, გარეშე საქმეთა კომისიას 5, ჯანმრთელობის კომისიას 10, სამხედრო კომისიას 26, საკონსტიტუციო კომისიას 4, აგრარულ კომისიას 19, ხელოვნების კომისიას 3.

7. ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

განხილულია და მიღებული 278, გაუქმებულ ან ერთი-მეორეში ჩართულ იქნა 12, უწყვეტას უკან დაებრუნა 33, დარჩა განუხილველი 92. სულ 415.

8 შეკითხვები:

შემოტანილი იყო: სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან 1, სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის 2, სოციალ-რევოლიუციონერთა ფრაქციისაგან 3, ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან 8, ეროვნულ-პარტიის ფრაქციისაგან 3. სულ 17.

კითხვები:

სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციისაგან 1,

შეკითხვებიდან.

განხილულ იქმნა 13, მოიხსნა განხილვისაგან 2, დარჩა განუხილავი 2.

კითხვები:

მოსმენილ იქნა 1.

9 დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და კომისიების სხდომების რიცხვი.

პრეზიდიუმს სხდომა ჰქონდა 171 *), საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას 74, საკონსტიტუციო კომისიას 48, იურიდიულ კომისიას 54, განათლების კომისიას 67, შრომის კომისიას 20, აგრარულ კომისიას 38, გარეშე საქმეთა კომისიას 30, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიას 44. ჯანმრთელობის კომისიას 9, სამხედრო კომ-

*) ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი რამდენსამე კომისიას გადაეცა განსახილველად. ამის გამო საერთო რიცხვი კომისიებისათვის გადაცემულ აქტებისა არ შეესაბამება შემოსულ აქტების საერთო რიცხვს.

ამის გარეშე, ამ განყოფილებაში აღნუსხული არ არის ის აქტები, რომლებიც კომისიების ინიციატივით შემოვიდა და სხვა კომისიას არ გადასცემია წინასწარი განხილვისათვის.

*) ამ რიცხვიდან — ფრაქციების წარმომადგენლებთან ერთად 11.

მისიას 49, გზათა კომისიას 47, ზელოვნების კომისიას 47, საბიბლიოთეკო კომისიას 24, სარეგლამენტო კომისიას 7, სამეურნეო-საგაზეთო კომისიას 18, სარედაქციო კომისიას 93, საშანდატო კომისიას 3. საპროპაგანდო კომისიას 5.

დამფუძნებელი კრება შეხდგება ექვსი ფრაქციისაგან:

1, სოციალ-დემოკრატიისა, 2, სოციალ.-ფედერალისტთა, 3, სოციალისტ-რევოლიუციონერთა, 4, ეროვნულ-დემოკრატიულისა, 5, ეროვნულისა და 6, დაშნაკცუთიუნისა.

დამფუძნებელი კრება

16 მარტის სხდომა

თავმჯდომარეობდა ს. მდივანი.

მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონისა და დეკრეტებისა: 1) ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარებათ 1 მილიონი 500.000 მან. მიცემისა. 2) მიწათმოქმედების სამინისტროს ერთდროული სამ სემესტრიან სამეურნეო კურსების ოთხ სემესტრიან განმეორებით კურსებათ გადაკეთების შესახებ. 3) ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის წინასწარ ზომების მისაღებათ 2 მილიონი მან. გადადებისა. 4) საქართველოს და სომხეთის შორის ნეიტრალურ ზონის მილიციის შტატის შემოღებისა. 5) შავი ქვის მრეწველთა საბჭოსათვის 360.000 მან. სესხად მიცემისა საავადმყოფოს აღსადგენათ და მიღებულ იქმნა საბოლოო ტექსტი კანონებისა: 1) დამფუძნებელი კრების წევრობის და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამჯელოს კანონის დამატებისა. 2) საგვარეულო უძრავ ქონების გამოსყიდვის უფლების გაუქმების შესახებ.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ერთი წელი შესრულდა რაც დამფუძნებელი კრება მოქმედობს. ამიტომ თანახმად არსებული წესებისა, უნდა მოხდეს პრეზიდიუმის და კომისიების არჩევნები.

სოც. - რევოლიუციონერებმა განაცხადეს, რომ ისინი კენჭის ყრის დროს თავს შეიკავებენ. პრეზიდიუმში ფაოული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ ნ. ჩხეიძე, თავმჯდომარეთ, მიიღო 44 თეთრი, 5 თავი შეიკავა, თავმჯდომარის უფროს ამხანაგათ ალ. ლომთათიძე — მომხრე 45, წინააღმდეგ 1, 6 თავი შეიკავა, თავმჯდომარის უმცროს ამხანაგებათ არჩეულ იქმნენ: ექვთ. თაყაიშვილი და ს. მდივანი, მდივნებათ ქრ. შარაშიძე და კ. ჯაფარიძე. პრეზიდიუმში ერთი ადგილი თავისუფალი დარჩა.

შემდეგ მოხდა კომისიების არჩევნები. ლ. შენგელაიამ და გ. გვაზავამ განაცხადეს, რომ ყველა ფრაქციას უნდა მიეცეს საშუალება ყოლიოს თავისი წარმომადგენელი ამა თუ იმ კომისიაშიო.

გრიგოლ გიორგაძემ აღნიშნა, რომ სოც.-დემოკრატიული ფრაქცია სიამოვნებით მიიღებს ამ განცხადებას, მხოლოდ სამწუხაროდ სხვა ფრაქციების წარმომადგენელნი ნაკლებათ ესწრებოდენ კომისიების სხდომებს და ეს აფერხებდა მათ მუშაობას, მაგრამ ჩვენ მაინც ვაცხადებთ, რომ თუ რომელიმე ფრაქცია მოისურვებს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი ამა თუ იმ კომისიაში, ეს მისი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება და ის დაემატება კომისიის რიცხვს გადამჭრელი ხმით.

გიორგაძის განცხადება მიღებულ იქნა.

შემდეგ არჩეულ იქნენ შემდეგი კომისიები: სარეგლამენტო (7 კაცი), საკონსტიტუციო (16 კაცი),, საბიუჯეტო (16 კაცი), სარედაქციო (7 კაცი), სამხედრო (16 კაცი), ხელოვნების (11 კაცი), იურიდიული (9 კაცი), საგზაო (10 კაცი), სახალხო განათლების (12 კაცი), სახალხო ჯანმთელობის (9 კაცი), შრომის (13 კაცი), საბიბლიოთეკო (11 კაცი), სამეურნეო (11 კაცი), საგარეო (9 კაცი), მომარაგების (8 კაცი), თვითმართველობის (12 კაცი), კომისიებში ყველა ფრაქციებს არ გამოუგზავნიათ თავიანთი წარმომადგენელნი და ამიტომ კომისიის შემადგენლობას ამ ჟამად არ ვბეჭდავთ.

შემდეგ მოხდა სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრთა არჩევნები. არჩეულ იქნენ: გამგეთ იასონ ლორთქიფანიძე, საბჭოს თავმჯდომარეთ ნ. ელიავა, მის ამხანაგათ ს. მდივანი, საბჭოს წევრებათ: ვ. ბერელაშვილი, გ. ქურული, დ. თოფურიძე, ა. ფორაქაშვილი, კ. მესხი, პ. ჭიჭინაძე და ი. ცაგერელი.

იუსტიციის სამინისტროში

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ იუსტიციის მინისტრის წინაშე აღძრული შუამდგომლობა, სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესიების ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ვორიდან სურამში გადატანის შესახებ დაკმაყოფილებულია.

იუსტიციის მინისტრმა ნება დართო გორის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს, რომ ყრილობა დროებით ვადაიტანოს სურამში.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სხდომათა სესიების ნუსხა 1920 წელს.

ქუთაისი აპრილში 19—24, 26—30, მაისში 10—15, 24—29, ივნისში 7—12, 21—26, ივლისში 12—17, 26—31, აგვისტოში 9—14, 23—28 სექტემბერში 6—11, 13—18, ოქტომბერში 4—9, 18—23, 25—30, ნოემბერში, 8—13, 15—20, 22—27, დეკემბერში 6—11, 13—18, 20—25.

ზუგდიდი აპრილში 26—30, მაისში 31, ივნისში 5, სექტემბერში 6—11, ნოემბერში 8—12, დეკემბერში 20—25.

სენაკი აპრილში 19—24, სექტემბერში 13—18, ნოემბერში 22—27.

ყვირილა მაისში 10—15, აგვისტოში 30, სექტემბერში 4, ოქტომბერში 25—30, დეკემბერში 13—18.

ოზურგეთში მაისში 3—8, სექტემბერში 27, ოქტომბერში 2, დეკემბერში 6—11.

ონში ივნისში 21—24.

ლაილაში ივნისში 28—30.

ფოთში აპრილში 14—17, ოქტომბერში 18—23.

მიმართვა საქართველოსა, ადერბეიჯანისა

და სხვა ერთა წარმომადგენლებისა იტალიის პარლამენტს.

1919 წელს დეკემბერში იტალიის პარლამენტში მემარცხენე ფრაქციებმა შეკითხვა შეიტანეს მთავრობაში ახლად დაარსებულ სახელმწიფოებთან მისი პოლიტიკის შესახებ კერძოდ ყოფილ რუსეთის სამეფო ტერიტორიაზე დაარსებულ სახელმწიფოებისა. მთავრობამ ამ შეკითხვაზე უპასუხა, რომ ის ამ შემთხვევაში თავის საგარეო პოლიტიკას აწარმოებს ანტანტის პოლიტიკასთან შეთანხმებით, თავის მხრივ კი მზად არის მხარი დაუჭიროს ახალად აღორძინებულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის არსებობას. ეს განცხადება იტალიის პარლამენტმა 1919 წ. დეკემბრის 13-ს მოიწონა.

ამის შესახებ რომში მყოფმა საქართველოსა, ადერბეიჯანისა, უკრაინისა, ლიტვის და ლიტავიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა შემდეგ განცხადებით მიმართეს იტალიის პარლამენტის თავმჯდომარეს: ბატონო თავმჯდომარე! ჩვენ წარმომადგენლები აზერბეიჯანისა, საქართველოსა, უკრაინისა ლიტვისი და ლატვიისა თქვენი სახით ესალმება იტალიის პარლამენტს, რომელიც პირველმა მოკავშირე პარლამენტთა შორის აღიარა 13 დეკემბერს ყოფილ რუსეთის იმპერიის ხალხთა თავისუფლად არსებობის პრინციპი.

საქართველოსა, ადერბეიჯანისა, ლიტვისა, ლატვიისა და უკრაინის ხალხი, რომლებმაც ბრძოლით მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა გულწრფელის მადლობით მიიღებს იტალიის პარლამენტის დადგენილებას, როგორც უმაღლეს სურვილის გამოხატვას იტალიის ხალხისას, რომელიც ერთგული დამცველია ერთა თვითგამორკვევის სამღთო პრინციპისა, როგორც იტალიაში ისე ჩვენ კუთხეებშიაც. გთხოვთ გადასცეთ იტალიის პარლამენტს, რომ პოლიტიკა ერთა უფლების დაცვისა, რომელიც დამყარებულია ამ პრინციპზე, იქნება თავდები იტალიასა და ჩვენს სახელმწიფოთა შორის მეგობრული განწყობილებისა, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად.

ხელს აწერენ:

საქართველოს წარმომადგენელი **კ. ხიხახა ნაშვილი**

ადერბეიჯანის — **რ. ხანბუდაგოვ.**

ლატვიისა — **ც. რანცინი.**

უკრაინისა — **დ. ანტოკოვიჩი.**

ლიტვისა — **ჟ. ნარიხკასი.** („აზ.“).

დეკეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული ცნობები.

უმაღლეს საზღვაო საბჭოს რეორგანიზაცია.

კვირას, საზღვაო მინისტრმა ლანდრიმ მინისტრთა საბჭოს მოსახსენებლად წარუდგინა დეკრეტი ფლოტის შესახებ. საზღვაო უმაღლეს საბჭოში მონაწილეობას მიიღებენ ვიცეამირბარები, რომელნიც საფრანგეთში იმყოფებიან და რომელთაც ზოგიერთ შემთხვევაში ეყოლებათ მომქმედი კომანდა. ეროვნულ თავდაცვის ორ ორგანოს შორის კავშირის დასაჭერათ უმაღლეს საბჭოს ზოგი წევრი შეიძლება საზღვაოთ უმაღლეს საბჭოში იქნეს მოწვეული.

მცურავი ნაღმები. აღმოსავლეთიდან იტყობინებიან ბრეტანიის ნაპირზემ რავალი ნაღმის გამოჩენის შესახებ. ეს ნაღმები უმთავრესად, გამოჩნდა პერმარშის სამხრეთ-დასავლეთით.

ჩინელების გამგზავრება. გავრში ინგლისის გემმა მიიღო 500 ჩინელი, რომელიც მან ვალიფაკსში უნდა გადასხას.

პრეზიდენტმა ებერმა და კანცლერმა დასტოვეს დრეზდენი, სადაც ნამდვილი მთავრობა შეიკრიბა და გაემგზავრენ შტუტგარტს, სადაც სამშაბათს ეროვნული კრება უნდა შეიკრიბოს. სამხრეთ გერმანიის (საქსონიის, ბავარიის, ვიურტემბურგის, ბადენის, გესენის) მთავრობებმა, ბაუერის მთავრობას ნდობის მანიფესტი გამოუცხადეს. კვირას პარიზში მყოფმა გერმანიის რწმუნებულმა ინახულა მილიერანი და განუცხადა: გერმანიაში სამხედრო გადატრიალება ვერ გაიმარჯვებს და ბაუერის მთავრობა ერთგულად აღასრულებს მოკავშირეების მიმართ დადებულ ვალდებულებებს. მოკავშირეები მზად არიან ყოველგვარ შემთხვევისათვის, მაგრამ კონფლიქტში მხოლოდ მაშინ ჩაერევიან, თუ გერმანიაში დამყარდება ჰოგენცოლერნებიდან გამოსული მთავრობა, ვერსალის საზავო ხელშეკრულობისადმი ოპოზიციაში ჩასადგომათ.

ჰოლანდიის მთავრობამ გააძლიერა ზედამხედველობა ამერონგენის ციხე-დარბაზზე, სადაც ვილგელმი ცხოვრობს. სინდიკალისტების კონფერენციამ საერთო გაფიცვის გამოცხადება გადასწყვიტა, თუ კაპი (?) გაზისა და ელექტრონის განათებისა და გზათა მუშები ბერლინში გაფიცულნი არიან. რეაქციის საპროტესტოთ გაფიცვები ვრცელდება დიდ ქალაქების უმეტესობაში, როგორცმაგ. კილში, ჰამბურგში, კელნში, ფრანკფურტში, ესენში. დიუსელდორფში მუშებსა და ჯარებს შორის შეტაკება მოხდა. მკვდარია 15, დაჭრილია მრავალი.

უცნობი სადგურიდან.

(აკლია რამდენიმე სიტყვა)... 1918 წლის დეკემბერში რამდენიმე ათეულ მუშათა დახვრეტით გადასწვიტეს სერბიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მესამე ინტერნაციონალთან შეერთება. ყველა ეს მოვლენები საკმაოთ ნათლად მოწმობს ბალკანეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ორიენტაციის შესახებ. მან განაცხადა თავისი სურვილი რუსეთის პროლეტარიატის გზით სიარულის შესახებ. და ილტვოდა თავის დიქტატურისა და საბჭოთა მთავრობისაკენ რუსეთის თეთრი გვარდიის საბოლოო მოსპობა, კოლჩაკის ტყვეთ წაყვანა, იუდენიჩის ჯარის სრული განადგურება, დენიკინის დამარცხება, რუსეთ უკრაინის წითელი ჯარის მოახლოება (დამახინჯებულია) გერმანიის რევოლიუციონური მოძრაობა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უფრო მეტი და მეტი გახრწნა — ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ბალკანეთში კომუნისტურ მოძრაობისგან ვითარებას. კომუნისტებმა უნდა გაიმარჯვონ. ეს აზრი ღრმათ უნდა ჩაენერგოს არა მარტო პროლეტარიატს, არამედ ბალკანეთის ქვეყნების გლეხობასაც. ამ მიზნისათვის ბალკანეთისა და დუნაის მხრის ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა უნდა მოსპონ ყოველგვარი გაუგებრობა, რომლის გავრცელებასაც სცდილობენ ჩვენი პროგრამის შესახებ გლეხთა და მუშათა განთავისუფლების მოწინააღმდეგენი და პირველად ყოვლისა უნდა უარჰყონ მათი საყვარელი არგუმენტი, თითქოს ბალკანეთის ქვეყნები მათი ეკონომიურად ჩამორჩენის გამო პროლეტარულ რევოლიუციის გარეშე უნდა დარჩეს. ამ ცნობილ არგუმენტს ბალკანეთის კომუნისტური.. (მუშაობა ერთბაშად შესწყდა)

მიხკოვი, 16 მარ. შრომის სათადარიგო არმიის ცნობა. 10 მარ. ამ დღეს მუშაობდა სულ 7.575 კაცი. ამათ რიცხვში 3.035 წითელი არმიელი მატარებლის შესაკეთებლად მუშაობდა, 1.422 რკინის გზელი 161 არმიელი.

ხარკოვი, 15 მარ. უკრაინის შრომის არმიის წყალობით დონის ოლქში ნახშირის დამუშავება ძლიერ გაძლიერდა. ესი ვაგონის მაგიერ დღეში მარტის პირველ კვირაში 350 ვაგონი გამოიტანეს.

ხარკოვი, 15 მარ. მიღებულია ენერგიული ზომები ნიკოლაევის რადიო-სადგურის განსაახლებლად. წინადადებაა რომ შემდეგი რადიო-სადგურები მოეწყოს: ხარკოვ-კიევ-ეკატერინოვ-პოლტავა - ჟიტომირ-პოდოლიის კამენეც-ბახმუტვინნიცა - ჩერნოვ-ლუგანსკას და იუზოვკაში.

ქალაქის თვითმართველობაში.

ქალაქის მოურავმა ქალაქის საოლქო სასამართლოს თხოვნით, მიმართა დააჩქაროს საქმის გარჩევა დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის ვორონცოვ დაშკოვის სახელობის თავშესაფარი შენობის განთავისუფლების შესახებ. აღნიშნული თავშესაფარი იმყოფება ქალაქის თვითმართველობის მფარველობაში და აძლევს მას განსაზღვრულ ნივთიერ დახმარებას ფიქრობს იქ მოათავსოს 80 უმწეო და უპატრონო ბავშვი.

—

ქალაქის გამგეობის მდივანი ბ-ნი ინწკირველი თავს ანებებს თანამდებობას, კოოპერატიულ ბანკის გამგეობის წევრათ არჩევის გამო.

—

შრომისა და სოციალურ განყოფილებას ქალაქის გამგეობამ ღამის თავშესაფარის საჭიროებისათვის ავანსის სახით 3000 მანეთი მისცა.

—

ქალაქის სასაკლაოში საქონლის დაკვლა ამიერიდან იწარმოებს ხუთშაბათობითაც, ქალაქის გამგეობამ, დაადგინა საავათამყოფოში უპატრონოთ დარჩენილი ნივთების შენახვა ავათმყოფების სიკვდილის გამო განისაზღვროს ორი თვით, შემდეგ უპატრონო ნივთები საავათმყოფოს საკუთრებათ ჩაირიცხოს და ხმარებულ იქნას ორი თვის შემდეგ, ნივთები მიეცემათ საავადმყოფოდან გამოწერილთ, რომელთაც არა აქვთ თავიანთ ტანთსაცმელი, ანისათ მოსამსახურეთ რომელთაც საერთო წესით უნდა ეძლეოდეთ ტანთსაცმელი, დანარჩენი კი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით.

—

ქალაქის გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა ერობის თავშესაფარის გამგე ი. ტყემალაძე.

—

ქალაქის გამგეობამ პირველ საავათმყოფოს ტერაპევტიულ განყოფილების ორდინატორათ მოიწვია გრ. ხარაზიანი.

—

შრომის ბირჟის კინო თეატრის შესაკეთებლად ქალაქის გამგეობამ 13 ათას ხუთას ოცდა სამი მანეთი გადასდო თანახმად ქალაქის ხუროთ მოძღვრის აბესალომოვის გამოანგარიშებისა.

—

ტრამვაის უფასო ბილეთების ნაცვლად „დედობისა და ბავშვობის“ დამცველ საზოგადოებას ქალაქის გამგეობამ 251000 მანეთი დახმარება მისცა სოციალურ დახმარების ფონდიდან.

ტფილისის თვითმართველობის არსებობის 200 წ. თავი

1920 წელს, მარიამობის თვეში, სრულდება 200 წელიწადი რაც მეფე ვახტანგ მეექვსემ ტფილისში ქალაქ ტფილისის თვითმართველობა დაარსა. ეს თვითმართველობა ვახტანგ მეფის შემდეგ 1730 წელს მოისპო, იგი განახლდა 1744 წელს, 1752 წ. კვლავ მოისპო, 1764 წ. მეფე ერეკლე მეორემ განაახლა და მისი არსებობა მკვიდრ საფუძველზედ დაამყარა.

1764 წლიდან თვითმართველობის არსებობამ გასტანა 1795 წლამდის. ამ დროს იგი დაემხო აღამაჰმადხანის შემოსევისაგან, ამის შემდეგ მეფე ერეკლემ ვეღარ შესძლო მისი განახლება, რადგანაც თვითონაც მალე მოკვდა. ერეკლე მეფის შემდეგ გამეფდა მემკვიდრე მისი გიორგი მეფე. ამან სულ ვერ შესძლო ტფილისის გამგეობის განახლება, ვინაიდგან იგი სულელი კაცი გახლდათ და 1800 წ. 28 დეკემბერს გარდაიცვალა.

ამის შემდეგ, ანუ 1801 წ. საქართველო რომ რუსეთს ჩაბარდა, მაშინ ტფილისში არაფერი გამგეობა არ არსებობდა, ამიტომ რუსი და სომეხნი ამბობდნენ, რომ ტფილისში, ქალაქის გამგეობა დაარსებულია მხოლოდ რუსების შემოსვლის შემდეგ 19 საუკუნის ნახევარსაო.

კარგა ხანია, რაც ამის შესახებ მე ისტორიის მასალებს ვკრეფდი, არის საბუთები, რომ ქალაქის გამგეობა ტფილისში ბევრათ ადრე ყოფილა დაარსებული ვახტანგ მეფისაგან და არა რუსების შემოსვლის შემდეგ მე-19 საუკუნეში. ამ მასალების ზოგი ადრე, ძველ ქართულ გაზეთებში მქონდა დაბეჭდილი და ზოგიც დაუბეჭდავი მაქვს.

ეხლა ყველა ეს მასალები ერთად შევკრიბე და ცალკე წიგნად ვბეჭდავ, რაც ცხადათ აღნიშნავს ტფილისის გამგეობის დაარსების ისტორიას და მასთან ტფილისის ძველ აღნუსხვასაც.

ნ. ბ.

გიგლიოგრაფ. შენიშვნები

(ხომლელი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“. 1920 წ. ფ. 21 მან.)

ეს სრულიად ახალი და თან ფრიად საინტერესო ამბავია ჩვენში, რომ წ. კ. გამ. საზოგადოებამ ქართველი კრიტიკოსების ნაწერების სტამბით ბეჭდვა დაიწყო.

უწინ წ. კ. საზოგადოება, შეძლების და გვარათ, ხილათ მაინც ბეჭდავდა პოეტ-ლირიკოსების და ბელეტრისტების ნაწერებს. კრიტიკოსებს ვინლა ეძებდა, ან ისინი ვის ახსოვდა.

ახლა-კი, ამ სრულიად განახლებულ, საქართველოში, რომელმაც დაიწყო საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება და თავზე მხიარულათ დაჭქათქათებს სამხრეთის დიადი ცა და მზე, ჩაღდება უძლიერესი, გრძნობა მორეული მუშაობა კულტურულ-განმანათლებელ ასპარეზზე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი უზუცესი და გამოცდილი წ. კ. გამ. საზოგადოება დაწყებულ საქმეს პირნათლად შეასრულებს ეროვნული მწერლობის ყველა დარგის მწერლების ნაწერების გამოცემას უფრო ფართო და ენერგიულად შეუდგება.

ამ ჟამად-კი არ შეგვიძლია გულით არ მივესალმოთ მის მოღვაწეობას, რომ კრიტიკოსებსაც ყურადღება მიაქცია და მათი გამოცემა დაუწყია.

ხომლელის ნაწერი ეკუთვნის უფრო ისტორიულ კრიტიკას. თუმცა ავტორს ესთეტიური თვალსაზრითაც აქვს განხილული ნ. ბარათაშვილის ლირიკა.

ესთეტიური კრიტიკა არჩევს, უკვირდება მხოლოდ და მარტო ავტორის ნაწარმოებს, ნამოქმედარს. იმას საქმე არა აქვს არც ავტორთან, არც იმ დროსა და ეპოქასთან, გარემოებასთან, რომელშიაც ავტორი ცხოვრობდა და ვითარდებოდა. ერთი სიტყვით, ამ კრიტიკას სრულიად არ აინტერესებს ავტორის ბიოგრაფია მისი თავგადასავალი. ესთეთიური კრიტიკის აზრით, ყველაზე უფრო ნათლად და სინამდვილითაც ჩვენ გავიგებთ ავტორის ნაწერიდან იმას, რასაც ფიქრობდა ავტორი. „საქმე მან შენმა გამოგაჩინოს შენ“. თუ ნაწერი არ ვარგა, თუ ნაწარმოები ცუდია, განა ის, რასაც ავტორის ცხოვრება მოგვცემდა და აგვიხსნიდა, ამით ნაწარმოები პოეტისა, გინდ ბელეტრისტისა გაუკეთესდებოდა თუ?

ლიტერატურის ყოველი დარგი ექვემდებარება რაიმე არსებით პირობას, რომელიც წარმოადგენს სალიტერატურო კრიტიკის საფუძველს. ესთეტიური კრიტიკა აქებს და იწონებს ნაწარმოებს, რომელშიაც დაცულია ჰეშმარიტების და მშვენიერების სამარადისო კანონები, აძაგებს და იწუნებს ისეთ ნაწერს, რომელიც ამ კანონებს ღალატობს.

მიუცილებლათ, ესთეტიურ კრიტიკას საფუძველი აქვს, როცა აცხადებს, რომ ყოველი მხატვრობა, პოეზია, ყოველი ფორმა უნდა ხატავდეს რაიმე არსებით აღნიშნულ პირობას, რომელიც შეიცავს თვით ადამიანის სულის კანონს. იგი მართალია იქაც როცა ამტკიცებს, რომ ეს არსებითი პირობიანი განხორციელებული არიან იმ დიდ სამხატვრო კლასიკურ ნაწარმოებში, რომელთაც ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ. ამნაირათ, ესთეტიური კრიტიკა საშუალებას გვაძლევს ჩვენ, გავარჩიოთ კარგი, მართლაც მშვენიერი ნაწარმოები სუსტი და უვარგისისგან და სინამდვილითაც გავიგოთ კიდეც, თუ ჩვენ იგი, რატომ მოგვწონს, ან არ მოგვწონს.

ესთეტიური კრიტიკის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მკაცრად, სასტიკად ჩასჭიდებია მხოლოდ და მარტო მშვენიერების, სიტურფე-სილამაზის შეგნებას და არ უნდა გაიგოს, რომ სალიტერატურო ნაწარმოები შეიძლება კარგი იყოს, ერთხელ შემუშავებულ იდეალს თუ დაცილებია. ამ კრიტიკას არ უნდა ირწმუნოს რამე ახალი და მოიწონოს ისეთი ნაწარმოები, რომელიც არ არის ისეთი მკვეთრი, ნათელი და ძლიერი, რომლებითაც გათქმულია კლასიკური ხასიათის ნაწარმოებნი. ესთეტიურ კრიტიკას აშკარათ ეტყობა ვიწრო ორტოდოქსმელობის ხასიათი და ამ ხასიათის ბეჭედიც აზის მას მაშინვე, როცა იგი მგოსნის კაპრიზებს და მდიდარ წარმოდგენას ფრთებსა სჭრის და გასაქან გზებს უსპობს, შორს, ძლიერად ფაფრენის ნებას არ აძლევს.

ესთეტიურმა კრიტიკამ საზოგადო, გარდუვალ კანონად გადააქცია ის კერძო, წვრილმანი მხარეები, რომელსაც მისდევდენ მისი აღტაცებაში მომყვანი ნაწარმოებთა შემომქმედი მწერალნი და აღარ უნდა გაიგოს, რომ გენიოსი მწერლის ტალანტს ყოველთვის შეუძლია ახალ-ახალი ცოცხალი ფორმები და სახეები შვიმუშაოს, რომლიდანაც შეიძლება სრულიად ახალი მხარეები და თვისებანი იქნეს შემოტანილი ლიტერატურაში.

ამას გარდა, ფორმების წინაშე ბევრმა სასახელო კრიტიკოსმა მოიყარა მუხლი და ცალიერი დოქტრინერობა დაიწყო. ბევრმა, ძალიან ბევრმა მწერალმა გულწრფელად დაიჯერა, ჩვენი ფუტურისტებისა არ იყვეს, რომ ფორმა სულ ყოველისფერზე უმაღლესია, უმნიშვნელოვანესია ლიტერატურაშიო.

ხომლელის ესთეტიკა ზომიერების ემბაზშია მონათლული და საუკეთოთ აქვს მას განხილული ჩვენი უკვდავი ნიკოლოზ ბარათაშვილის სატრფიალო ლექსები.

მთელი ორი თავი ხომლელის კრიტიკისა ნიკ. ბარათაშვილის ლექსების კრიტიკულ ანალიზს უჭირავს. მეოთხე თავში კრიტიკოსი არჩევს პოემას „ბედი ქართლისას“, სადაც იგი არეთანხმება ჩვენი დიდი პოეტის აზრს საქართველოს პოლიტიკურათ დაღუპვის შესახებ...

ფრიად საყურადღებოა კრიტიკოსის შენიშვნები, რომელიც მას სხოლიოებში მოუქცევია.

კრიტიკოსი იძლევა მდიდარს ფილოსოფიურ ახსნას რომანტიზმისა და ბაირონიზმისას, რომელზედაც ქართულ ლიტერატურაში აქამდის არაფერი თქმულა. სხვაგან კი უნივერსიტეტში მთელი კათედრებია დაარსებული...

წიგნი, სამწუხაროთ, სავსეა კორექტურული შეცდომებით, თუმცა სუფთად არის გამოცემული და ღირს 21 მან.

ბ—ძე.

გურიის სამაზრო ერუგაში.

მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გამაგრების საქმე.

როგორც ამას წინადაც ვსწერდით, გურიის სამაზრო ერობა უკვე შეუდგა მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გამაგრებაზე მუშაობას. აგერ თვეზე მეტია, რაც ამ საქმისთვის საჭირო ორგანიზაციას აწყობს ის კომისია, რომელიც ამ საქმის სახელმძღვანელოთ შესდგა ერობის გამგეობის წევრის კ. ქავთარაძის თავმჯდომარეობით და რიონის მარცხენა ნაპირზე გაშენებულ თემთა და აგრეთვე ქალ. ლანჩხუთის წარმომადგენლების წევრობით. ამ კომისიის დადგენილებით რიონის ზოლში არსებულ თემების ყველა მოქალაქე ვალდებულია რიონის ნაპირების გასამაგრებლათ უფასოთ იმუშაოს, თვითეულმა 7-7 დღე; ვინც განთავისუფლებული იქნება ამ ნატურალური ბეგარისაგან სხვა და სხვა მიზეზების გამო, იხდის ათას მანეთს. შეკრებილი ფულით უნდა დაქირავებული იქნას მუშები—განსაკ. სვანები. მუშაობა ევალება აგრეთვე შორეული თემების იმ მცხოვრებთაც, რომლებიც ყანობენ რიონის ნაპირას; მუშას თან მიაქვს საყოფი სურსათი, ადგილობრივათ მოეწყო მუშებისთვის ბინა, გაიხსნა საფერშლო პუნქტი და აფთიაქი; მოწვეულია ხუთი მეთვალყურე, ერთი სამეურნეო ნაწილის გამგე-თანაშემწით, შეძენილი იქნა საჭირო ბარები, საზიდები და სხვა ხელსაწყო.

თემები სიამოვნებით შეეგებენ ამ საქმეს და ყოველგვარ დახმარებას უწევენ კომისიას.

ჩიბათის თემმა შეაგროვა 400 მუშა, ნიგოითმა—500, შუხუთმა—400, ლანჩხუთმა—800 და სხვა.

მუშაობა დაიწყო 8 ამ. თვეს, მუშები დაყოფილია ცალცალკე რაზმებათ, თვითეული რაზმი მიჩნეულ ნაკვეთში მუშაობს. სპეციალისტების დასკვნის თანახმად კომისია არ კმაყოფილდება მარტო დამბების გაკეთებამოგვარებით, არამედ გადაწყვეტილია ახალ ადგილას ახალი კალაპოტის გაჭრა, რომ რიონის მიმდინარეობას პირდაპირი მიმართულება მიეცეს. ბევრი ძნელი და ჩვენი ხალხისთვის უჩვეო სამუშაოს გაწევა იქნება საჭირო, ამიტომ კომისიამ გადასწყვიტა სვანების დაქირავება საძნელო მუშაობის შესასრულებლათ.

გურიის ერობის გამგეობა, გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელობს მთელ ამ მუშაობას, აწყობს თემებში ორგანიზაციებს და კიდევაც გამოყავს ხალხი ნატურალური ბეგრის მოსახდელათ—შავი სამუშაოს შესასრულებლათ სრულიად უფასოთ, მატერიალურ ხარჯსაც სწევს თავისი სალაროდან, მაგალითად, საგზო, ორგანიზაციის მოსაწყობი და სხვა ხარჯებს თვით იღებს.

ერობის გამგეობის დღის წესრიგშია აგრეთვე დასმული საკითხი—ამ საქმეზე ერობის კასიდან ჯერ-ჯერობით 100000 მან. გადადების შესახებ.

მიუხედავათ ამისა, დამფუძნებელი კრების დეკრეტის თანახმად ამ საქმისთვის გადადებული 500000 მანეთი ეძლევა ლანჩხუთის ქალაქის გამგეობას. ეს დიდ გაუგებრობას იწვევს ადგილობრივათ. რაშია საქმე? რით აიხსნება ეს? უნდობლობით, თუ სხვა რაიმე მიზეზით? აუცილებლათ საჭიროა ამის დაჩქარებით გარკვევა, რომ დაწყებული დიდი და საშვილიშვილო საქმის მუშაობა არ შეფერხდეს.

ხუხეინ.

წერა-კითხ. საზოგადოებაში

დახმარება.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ ორ-ორი ათასი მანეთით დახმარება აღმოუჩინა საზღვარ-გარეთ მოსწავლე ორ ქართველ კათოლიკე სტუდენტს.

— წ.-კ. საზ. გამგეობამ ნოე ჟორდანიას სახელობის სამკითხველოს, რომელიც ახლახან გაიხსნა ჩულურეთში, 19 თებერვლის ქუჩაზე, შესწირა ყველა ის წიგნები, რომელიც ნავთლუღის წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკაში იყო, რადგან ხსენებული ბიბლიოთეკა დღეს დაკეტილია.

— წ.-კ. საზოგადოება ბეჭდავს გამოსაცემათ დ. კლდიაშვილის თხზულებათა მეორე ტომს, ეგ. ნინოშვილის ნაწერებს სამს ტომათ, ივ. გომართლისა და კაკი წერეთლის კრიტიკულ განხილვით, და ვას. ბარნოვის თხზულებათა პირველ ტომს.

სხვა და სხვა

◆ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გამოსთქვა აზრი რათა მიღებულ იქნას ღონისძიება რომ მოხდეს კონცენტრაცია დედა-ქალაქის საკულტურო დაწესებულებების, სახელმბრ: მუზეუმების, არქივების, სამკითხველოების და სხ. ამისთვის გაფართოვდეს მუზეუმის შენობა და თუ საჭიროება მოითხოვს, შეძენილ იქნას კერძო შენობები.

◆ მეორე ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი ნ. ახმეტელაშვილი სიღნაღის ერობის მიერ მიწვეულია სიღნაღის მაზრის სკოლების ინსპექტორობის თანამდებობის ადგილზე.

◆ ცენტრო-ბანკის დირექტორის თანამდებობაზე ასახელებენ: კ. აბხაზს, ბ. გოთუას და ნ. თავდგირიძეს.

◆ 7 მარტს სიბრძნის დოქტორმა დაგბაშიანცმა განუცხადა განსაკუთრებულ რაზმის უფროსს, რომ პარსეგოვის წიგნთ-საკინძავ სახელოსნოს ცხვენიდან (რუსთაველის პროსპ. № 17) ვიღაც უცნობებს მოუპარავთ სომხურ-რუსული ლექსიკონი, რიცხვით 1300 ცალი, ღირებული 260000 მან., რომელიც ჰქონია იმას მიცემული ასაკინძავათ ხსენებულ პარსეგოვისათვის. განსაკუთრებულ რაზმის მიერ ეჭვით შეპყრობილ იქნა პარსეგოვის წიგნთ საკინძავ სახელოსნოს ხელოსანი—კონსტანტინე გუკასის ძე არუთინოვი (26 წლ.), რომელიც გამოტყდა რა ჭურდობაში, გასცა ხსენებულ სახელოსნოს მოწაფე—აშოტი ხაჩატურის ძე კოსტანდელიანცი, ტერ-ბარდეგომოვსიანცი (15 წლ.), როგორც თვის თანაშემწე და მესაიდუმლე ამ საქმეში. არუთინოვს მოპარული საქონლის ნაწილი მიუყიდნია გასტრონომიულ მაღაზიის პატრონისათვის ვასილ ფარულავასთვის (ვერის დაღმართი № 16). მოპარული საქონელი დაუბრუნდა პატრონს, დამნაშავე არუთინოვი დაპატიმრებულ იქმნა საგუბერნიო № 1 საპყრობილეში, საქმე გადაეცა საოლქო სასამართლოს პროკურორს, ორივეს პასუხის გებაში მისაცემად.

შემოწირულება. ჩვენი რედაქციის კანტორამ მიიღო მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ: ოჭუმის (სამურზაყანო) უმაღ. დაწყ. სასწავლებლის გამგე არქიმანდრიტ იოანესაგან 500 მ. მარნის უმაღლეს სასწავლებლის 1, 2, და 3 კლასის მოწაფეთა შორის შეგროვილი 1487 მანეთი. ფული გადაეცა მთავარ კომიტეტს.

◆ სუხუმის ცენტრალური საბჭო რევოლიუციის სამი წლის შესრულების გამო საქართველოს მთავრობას უგზავნის მხურვალე სალამს და გამოსთქვამს იმედს, რომ საქართველოს რესპუბლიკა ჩვეულებრივად წავა წარმატების გზე.

◆ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მილოცვის დეპეშა მიიღო გუდაუთის მუშებისა და გვარდიელებისაგან რევოლიუციის სამი წლის თავის შესრულების გამო.

◆ ფინანსთა სამინისტრომ მოხსენება წარუდგინა მთავრობას, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობას ჯერაც არ წარმოუდგენია 1920 და 1921 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, რასაც ძლიერ აბრკოლებს ფინანსთა სამინისტროს საერთო ბიუჯეტის შედგენას.

◆ ფინანსთა სამინისტროს საბჭო თავის მახლობელ სხდომაზე განიხილავს რესპუბლიკაში ფულის ტრიალის რეფორმას.

◆ დამფუძნებელ კრების საფინანსო კომისიამ უკვე განიხილა შინაგან და სამხედრო სამინისტროთა ხარჯთ-აღრიცხვა და შეუდგა განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

◆ უუბანის მთავრობისაგან საქართველოს მთავრობამ მიიღო თანაგრძნობის დეპეშა გორში მომხდარ უბედურების გამო.

ჟილიციაში

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ა. ი. მიქაძე და ლავრენტი ი. სვანიძე, რომლებსაც ბრალი ედებათ ვაჭარ ფ. ი. სურაევის მკვლელობაში. დაპატიმრებულნი გადაეცა ტფ მე-8 უბ. გამომძიებელს.

— სისხლ. მილიც. ეფროსის თანაშემწე გავრილენკომ, რომელიც საგანგებოთ იყო უფროსის მიერ გაგზავნილი ქუთაისში, შეიპყრო იქ და ჩამოიყვანა ტფილისში მდიდარი ვაჭრები: ბინო, დავიდ და ეფრემ ფიჩხაძეები, შ. ჰაპიაშვილი, შ. მანიაურაშვილი, აარონ იაკობაშვილი და სხვანი (ყველანი ებრაელები), რომლებსაც ბრალი ედებათ რესპუბლიკის საზღვრებიდან ყალბი ნებართვებით სხვა და სხვა დიდძალ საქონლის გატანაში. საქმის ძიება გრძელდება.

— 16 მარტს ღამის 12 საათზე ველიამინოვის ქუჩის კუთხეში მოჰკლეს საგანგებო რაზმის უფროსი აგენტი ბაგდასაროვი. მკვლელობის ადგილს სწრაფულ გაჩნდა სისხ. მილიციის უფროსის თანაშემწე, რომელმაც იქვე შეიპყრო მკვლელი ს. გრიგორიანცი. გამოირკვა, რომ გრიგორიანცი ეკუთვნოდა მაუზერიკტოვის ყაჩაღთა რაზმს.

სენატში

1920 წლის მარტის 18, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლოს სხდომაში განსახილველად დილის ათ საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქმე № 7, მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ სუმბათ ოგანესის ძის სუმბათოვისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ოგანეზოვს ბრალდება დანაშაული, აღნიშნული 2 ნაწ. 1180 მუხ. სასჯ. დებ.

საქმე № 15, მაგიდა 1. ბრალდებულ კერიმ გაჯი ოღლის საკასაციო საჩივარი ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1455 მუხ. სასჯ. დებ.

საქმე № 60, მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ კაპიტონ მიქაბერიძისა ქუთაისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. მიქაბერიძეს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1631 და 1632 მუხ. სასჯ. დებ.

საქმე № 8, მაგიდა 2. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ივანე ჭეიშვილისა ქუთაისის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე. ჭეიშვილს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული მომ. მოს. წ. 115 მუხლ.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1920 წლის მარტის 19 სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა. -

(სხდომის გახსნა დილის ათ საათზე).

1) საქმე ილია სტეფანის ძის ფურცელაძის მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკთან ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

2) საქმე იური გამბაროვისა, ნატალია ჭანანოვისა, ალექსანდრე, გიორგი და ლეონ ხატისოვების და ნინო ალიბეგოვისა ნიკოლოზ შენგელია და გიორგი ოდიაშვილთან ხელშეკრულების გაბათილების თაობაზე.

3) საქმე დესპინა ფარსადანოვისა ნინო ფალავასთან 28,000 მან. თაობაზე.

4. საქმე ეკატერინე დიმიტრის ასული ჟორჟოლაძისა სიმონ არქიპის ძე ჟორჟოლაძის მიმართ ბინის დაცლისა და ბინის ქირის თაობაზე.

5) საქმე ივანე მაჭავარიანისა მავრა ჩხეიძეს მიმართ მამულის თაობაზე.

6) საქმე კონსტანტინე რომანენკოსი ნიკოლოზ რომანენკოსთან და მიხეილ სამოიშვილთან 1200 მან. თაობაზე.

წესდება

საქართველოს ცენტრ. სავაჭრო-სამრეწ. ბანკისა.

(ცენტრობანკი).

§ 31.

ბანკის ბილეთები დებულზე შეტანილი ფულისა მიიღება გირაოდ მთავრობის ყველა დაწესებულებასა და სახაზინო მმართველობაში იმ ფასად, რა ფასიც დაწესებული იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ. ბანკის აქციებიც მიიღება გირაოდ იმავე დაწესებულებათა მიერ იმ ფასად, როშელსაც დაუწესებს ფინანსთა მინისტრი.

მმართველობა

III

§ 32.

ბანკის საქმეთა მმართველობა მინდობილი აქვს გამგეობას და საბჭოს.

§ 33.

ბანკის გამგეობა იმყოფება ქ. ტფილისში და შესდგება თავმჯდომარისა და არა ნაკლებ ორი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება აქციონერებისა საბჭოს მიერ წარდგენილ პირთაგან სამი წლის ვადით.

§ 34.

გამგეობის წევრად არჩეული მოვალეა თანამდებობის ასრულების შედეგმისთანავე წარუდგინოს ბანკს ოცდა-ხუთი აქცია, რომელიც ინახება ბანკის კასაში იმ დრომდე, ვიდრე საზოგადო კრება აქციონერებისა დაამტკიცებს ანგარიშს იმ ხნის განმავლობაში, რა ხანსაც გამგეობის წევრი თანამდებობას ასრულებდა.

§ 35.

საზოგადო კრების მიერ გამგეობის არჩეულნი წევრად ასრულებენ თავიანთ თანამდებობას სამი წლის განმავლობაში; პირველ სამ წელს თითო-თითო წევრი ანებებს თავს თანამდებობას ან ურთიერთშორის თანხმობით ან წილის ყრით. შემდეგ ყოველ წლივ ანებებენ თავს სამსახურს ის წევრნი გამგეობისა, რომელთაც სამი წელი შეუსრულდებათ ამ თანამდებობაში. სამსახურს თავდანებებულნი შეიძლება ხელ-ახლა იქნან არჩეულნი გამგეობის წევრად.

შენიშვნა: თუ მომატებულ იქნა რიცხვი გამგეობის ან საბჭოს წევრთა, საზოგადო კრებამ უნდა განსაზღვროს წესი მათი სამსახურიდან გამოსვლისა.

§ 36.

თუ ვინიცობაა გამგეობის როშელიმე წევრმა თავი დაანება სამსახურს იმ ვადამდე, რა ვადით ის იყო არჩეული, მაშინ, მის ადგილას, საბჭოს წარდგენით, ირჩევენ ახალ წევრს იმ ვადით, რა ვადაც დარჩა სამსახურიდან გასულს.

ხოლო როგორც სამსახურს თავდანებებულ, ისე დროებით სადმე წასულ გამგეობის წევრის თანამდებობის აღსრულება საბჭოს განკარგულებით ევალება (მრენდობა) ერთერთ საბჭოს წევრს.

§ 37.

გამგეობა მართავს სხდომას საჭიროებისაშებრ, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც. რათა გამგეობის გადაწყვეტილებას ძალა ქონდეს, საჭიროა კრებას სამი წევრი დაესწროს. გარდაწყვეტილება უნდა დადგენილ იქნას უბრალო ხმის უმეტესობით, გარდა იმ საქმეთა, რომელიც აღნიშნულია ამ წესდების § 13 და მუხლების შენიშვნაში და § 24-ში. თუ მათა რიცხვი შუაზე გაიყო თავმჯდომარის ხმას უპირატესობა ეძლევა. ხოლო თუ არა ორად, არამედ მეტნაწილად აზრი წევრთა გაიყო და არც ერთ აზრს უმეტესობა ხმათა არ მიეკედლა, მაშინ ის საქმე, რომელმაც გამოიწვია ასეთი სხვა და სხვაობა აზრთა საბჭოს გარდასაწყვეტად გარდაეცემა.

გამგეობის სხდომაზე ადგენენ ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე წევრნი.

§ 38.

გამგეობა იბარებს დამფუძნებელთაგან დავთრებს და აქციების შესაძენად შეტანილ ფულს და შემდეგ როცა ფულის შეტანა დასრულდება, დროებითი მოწმობის მაგიერ აქციონერებს აქციებს აძლევს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ

დრანდის უბ. მომრიგებელი მოსამაროლე 1401 მუხ. ძალით ექვსი თვის ვადაში დღიდგან განცხადებისა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ იწვევს ნესტორ სიკოსძე ვეკუას მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ვეკუას სიკვდილის შემდეგ დარჩენის ქონებაზე. 0273 1—1

ილა ედვარდის ასული კნიუზვერი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ლიაპოვეცკის (კიევის გუბერნია) პოლიციის მმართველობიდან 12 დეკემბერს 1895 წელს № 132 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 479 1—1

ანა არტემის ასული კარაპეტოვი აცხადებს, რომ დაჰკარგა ბინის დავთარი, ბოტანიკურ შესახვევში მდებარე მისი საკუთარი სახლისა, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 482 3—1

ტფილისის მე-6 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 25 აგვისტოს 1919 წ. გარდაცვალებული ნატალია არტემის ასულის კატანიანის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ თავიანთი უფლება კატანიანის გარდაცვალების შემდეგ დანარჩენ ქონებაზე. 461 1—1

ტფილისის მე-XXI უბ. მომრიგებელი მოსამართლე თანახმათ თვისი 9 მარტის 1920 წ. დადგენილებისა იწვევს სარქის მანეგოვის მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თვისი უფლება მანეგოვის სიკვდილის შემდეგ დანაშთ ქონებაზე, დადგენილ 1241 მუხლის ძალით. 489 1—1

ზაქარია ნიკოლოზის ძე ნათაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი, მე—9 კომისარიატში, ანტონოვის ქუჩაზე მდებარე საკუთარი სახლის, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 469 3—1

კეკელა გიორგის ასული ბეგიჯანოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული სომეხ—გრიგორიანულ ეპარხიალურ კონტორიდან 1915 წოლს 30 ნოემბერს № 5777, და ნასყიდობის სიგელი, პონასევის ქუჩაზე № 17.—8 კომისარიატი, მდებარე საკუთარ მამულის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 471 3—1

მიკირტიჩ თადეოზის ძე პინადჯიანჯი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი მიღებული ტფილისის 1 კომერციულ სასწავლებლიდან № 518 1913 წ. 4 ივნისის და მეტრიკული მოწმობა, მიღებული კონსერვატორიისაგან 8 მარტს 1901 წ. № 400. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 474 3—1

ქრისტეფორე გასპარის ძე ზარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვადაგასული პასპორტი, მიღებული სოფ. ჩანანაბის (ერევნის გუბერნია) საქმართველოდან, 10 მაისს 1915 წელს № 271. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 465 3—2

პელაგია იაკოფის ასული მალიკოკისა გაუქმებულათ აცხადებს მის მიერ მიცემული მიხეილ ზაქარის ძე მალიკოკისადმი 1916 წ. მინდობილობის ქაღალდს, რომლითაც მას ეძლეოდა უფლება პელაგია მალიკოკის ასულზე ყოველივე საქმეების წარმოებისა. 499 1—1

ქალაქ ქუთაისის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ იოსებ დავითის ძის თეთრუაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება იოსებ თეთრუაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1211 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 0166 1—1

ალექსანდრა ივანეს ასული ჩაგონავასი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1901 წლის 1 მაის, რეესტრით № 905, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 466 3—2

პლატონ ომიანის ძე კვაჭაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის წოწმობა, მიღებული ჩობათის თემის გამგეობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 305 3—2

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აივაზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. ვონათის საზოგადოების საქმართველოსაგან, მეტრიკული ამონაწერი და პროფესიონალური კავშირის წიგნაკი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 454 3—2

უნტროსი მილიციონერი ტფილისის მილიციის კონსტანტინე ჯიბუტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტრამვაიზე მიმოსვლის პირადობის მოწმობა, მიცემული მილიციის საქმართველოდან 1920 წელში № 282. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 408 3—3

გრიგორი პოდპლეტნევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი, რომელიც მდებარეობს 7 კომისარიატში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 462 3—2

ნიკოლოზ ვასილის ძე გელაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ქვემო მოჩხაანის სოფლის შეგროვებისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 464 3—2

გალუსტ გაბრიელის ძე ტერ-ანდრეასიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ბელი კლიუჩის საზოგადოების საქმართველოსგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3 439

ხაჩატურ კარაპეტის ძე სეფერიანიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ნახიჩევანის ქალაქის თვითმართველობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 433 3 3

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲘᲜᲐᲗᲐ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐ

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 16 მარტს დანიშნულია შეჯიბრება ქუთაისის გარნიზონისთვის ოთხასი სამღერიანი ზომის შეშის დადგმაზე.

შეჯიბრება მოხდება, როგორც ზეპირ შეჯიბრებით, აგრეთვე დაბეჭდილ პაკეტებით დისტანციის კანცელარიაში დღის 12 საათზე. მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი 20 პროც. განცხადებულ ფასისა. პირობების გაგება შეიძლება ხსენებულ კანცელარიაში ყოველ არა უქმე დღეს. 286 3-2

ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲜᲔᲒᲐᲠᲛᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐ.

რიცხვი	ნებართვის №	სერია	ფურცელი	გვარი და სახელი.	საქონელი.
24 თებ.	1314	25	1222	ჯინორიძე ალექსანდრე.	პაპიროსები.
„	1315	„	1221	„	„
„	1316	„	1220	„ „	„
„	1317	„	1219	„	„
„	1318	„	1218	„	„
„	1319	„	1217	„ „	„
„	1320	„	1216	„ „	ღვინო კასრებით.
„	1321	„	1215	„	„ „
„	1322	„	1214	„	„ „
„	1323	„	1213	„	„ „
„	1324	„	1212	„	„
„	1325	„	1211	„ „	პაპიროსები.
„	1326	„	1210	„	„
„	1327	25	1209	ჯინორიძე ალექსანდრე.	პაპიროსები.
„	1328	„	1205	„	„
„	1329	6	258	ბილზების ფაბრ. „პობედა“.	ბილზები.
„	1330	„	256	„	„
„	1331	„	264	გერ. მთავ. წარ. მარიუხანი.	ნოხები.
„	1332	26	1269	მადერისა ვერა.	საკანცელარიო ნივთები.
25 თებ	1334	25	1241	„ენფიანჯიანც“ თამბ. ქარხანა.	პაპიროსები.
„	1335	26	1252	„ „	„
„	1336	—	—	ნოვოსელცევი ივანე.	ღვინო და თიხის ჭურჭლები.
„	1337	—	—	„	სხვა და სხვა სანოვაგე.
„	1338	6	263	საქ. ცენტ. კ-თა კავშირს.	თხილი.
„	1339	26	1251	„ენფიანჯიანცის“ თამბ. ქარხანა.	პაპიროსები.
„	1343	6	265	კობახიძე ვარდენ.	ხე-ტყის მასალა.
„	1345	—	—	ტიაპკინი დიმიტრი.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1348	24	1171	კახეთის ამხ. „საერო“.	ღვინო კასრებით.
„	1349	26	1268	მირზა იბრაგიმ ხან შაბანიმე.	საბარგო შინა.
„	1350	25	1237	„ბოზარჯიანცის“ თამბ. ქარხ.	დამუშ. თამბაქო.
„	1351	„	1238	„ „ „	პაპიროსები.
„	1352	„	1240	„ „ „	დამუშ. თამბაქო.
„	1353	„	1243	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	1354	„	1244	„ „ „	„ „ „ „
„	1355	„	1245	„ „ „	„ „ „ „
„	1356	„	1246	„ „ „	„ „ „ „
„	1357	„	1247	„ „ „	„ „ „ „
„	1358	„	1248	„ „ „	„ „ „ „
„	1359	25	1249	„ბოზარჯიანცის“ თამბ. ქარხ.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1360	„	1250	„ „ „	„ „ „ „
„	1361	„	1239	„ „ „	„ „ „ „
„	1362	6	268	საბერძ. სამეფო მის. წარმომ.	მედიკამენტები.
„	1363	„	267	„ „ „	„
„	1365	26	1289	კასიმოვი აბდული.	იმბირი.
„	1366	—	—	„ობედინენიე“ ი. ბუჩნეგი.	სხვა და სხვა საქონელი.
„	1367	—	—	იუნუს მუსტაფა ოღლი.	„ „ „ „
„	1368	—	—	ბოგდანოვი მათე.	„ „ „ „
„	1369	—	—	მამონტოვი გიორგი.	„ „ „ „
„	1370	26	1267	ლგოტაკი ნიკოლოზ.	საბარგო შინები.
26 თებ.	1372	„	1270	კავკ. სამრეწ. და საბეტ. საზოგ.	ღვინო ბოთლებით.
„	1373	„	1272	„ „ „ „ „	კირის ქვა.
„	1374	„	1273	„ „ „	„
„	1376	6	269	სავაჭ. ფირმა „კოსმოსის“ წარმ.	ცხვრის ტყავი.
„	1377	„	270	„ „ „	ხალიჩები.
„	1378	26	1278	„ენფენჯიანცის“ თამბ. ქარხ.	პაპიროსები.
„	1379	„	1279	„სეილანოვის“ თამბ. ქარხანა.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1380	„	1280	„ „ „	პაპიროსები.
„	1381	„	1281	„ „ „	„
„	1382	„	1282	„ „ „	„
„	1384	„	1283	„ „ „	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1385	„	1284	„ „ „	„ „ „ „
„	1386	„	1285	„ „ „	„ „ „ „
„	1387	„	1286	„ „ „	„ „ „ „
„	1388	6	266	საქ. საზ. „ჟირომას“.	ცარიელი ტომრები.
„	1389	6	280	„ „ „	ცარიელი ტომრები.
„	1390	„	279	„ „ „	„ „
„	1391	„	278	„ „ „	„ „
„	1392	„	277	„ „ „	„ „
„	1393	„	276	„ „ „	„ „
„	1394	„	275	„ „ „	„ „
„	1395	„	274	„ „ „	„ „
„	1396	„	273	„ „ „	„ „
„	1397	5	246	სომხ. დიპ. მის. რწ. სარქისიანს.	ჯაგარი.
„	1398	26	1296	ყარანგოზოვი მიხეილ.	დამუშ. თამბაქო.
„	1399	„	1295	„ „	თხილი ტომრებით.
„	1400	„	1294	ფუმი რანიერი.	ჯაგარი.
„	1401	„	1290	მოძღვარიშვილი ილია.	პაპიროსები.
„	1403	„	1299	საქ. კო-თა ცენტრ. კავშირს.	კასრები.
„	1404	„	1297	გაზ. „სამუსილ. საქ. რწმუნებ. ხვინგიას.	გაზეთის ქაღალდი.
„	1406	„	1298	ა. უდელი ლიდა.	მტრედები.
„	1408	26	1300	ფირმა „კოსმოსის“ წარმომად.	ღვინო ბოთლებით.

264 1—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.